პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით
შაბათი, 8 მარტი 1924 წ.
წელიწადი მეოთხე
ფასი 5 კაპ. ჩერ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წითელი არმიელი

№ 447 ქ. მ. დ. პოლიტ-განყოფილების ყოველდღ. გაზეთი
რედაქც. მისამართი: ტფ., სასახლის ქ. № 5. საველე ელსმენი № 32.
განცხადების ფასი პირველ გვერდზე 40 კაპ.—მეოთხეზე 20 კაპ. ჩერვონეც. ნომპარელის სტრიქონ
სამგლოვიარო განცხადება 3 მან. ჩერვ. განცხადებები მორიგ ნომერში მიიღება მხოლოდ 1 საათამდე.

გაუმარჯოს მებრძოლ პროლეტარ და გლეხის ქალს!

გაუმარჯოს მშრომელ ქალის კომუნისტური საერთაშორისო დღეს!

გაუმარჯოს 8 მარტს-ყველა ქვეყნის მშრომელთა სოლიდარულ ბრძოლის და განმტკიცების დღეს!

გაუმარჯოს კომუნიზმს!

მუშა ქალთა საერთაშორისო დღე.

დღეს მთელი ქვეყნის მუშა ქალები და მასთან საერთაშორისო პროლეტარიატი დღესასწაულობენ მუშა-ქალთა საერთაშორისო დღეს.

კაპიტალიზმა თავისი ექსპლოატაციის მძიმე უღელში მოაქცია არა მარტო პროლეტარიატი, არამედ მისი ოჯახის წევრებიც: ცოლი, დედა და შვილები.

საუკუნეთა განმავლობაში დედაკაცი დამონავებული და დაჩაგრული იყო. ის კარჩაკეტილ ცხოვრებას ეწეოდა, ყოველგვარ პოლიტიკურ და საზოგადოებრივ უფლებებს მოკლებული, მთელი მისი ცხოვრება და აზროვნების ასპარეზი ოჯახის საზღვრებს არ სცილდებოდა.

ასე იყო მანამ, სანამ კაცობრიობის ისტორიაში არ გადიშალა ახალი ეპოქა კაპიტალიზმის სახით.

ბურჟუაზიულმა წესწყობილებამ დაარღვია პროლეტარის და წვრილი ხელოსნის ოჯახი. თავისი ურიცხვი ქონების გასადიდებლად და ექსპლოატაციის გასაფართოვებლად მან არ დაინდო არც დედაკაცი, ჩამოაცილა ის ოჯახს და სამუდამოთ ჩააბა ქარხნის მღელვარე ცხოვრებაში.

მართალია, კაპიტალიზმა გაანთავისუფლა დედაკაცი ოჯახურ მონობისაგან, მაგრამ სამაგიეროდ კისერზე დაადო თავისი ექსპლოატაციის გაყვლეფის მძიმე უღელი.

ბურჟუაზიულ ქვეყნებში მუშა-ქალები იმყოფებიან ისეთივე მძიმე ეკონომიური პირობებში, როგორც მუშები მოკლებულნი ყოველივე პოლიტიკურ უფლებებს.

ამიტომ მუშა ქალის განთავისუფლება ისტორიულად დაკავშირდა სოციალიზმის განხორციელებასთან.

მუშებთან ერთად ბურჟუაზიის ბატონობის წინააღმდეგ დღეს აღსდგა მუშა-ქალების მრავალ მილიონიანი არმიაც.

მუშა ქალმა სავსებით შეიგნო და შეითვისა ის ჭეშმარიტება, რომ მხოლოდ თავის ძმებთან და ქმრებთან ერთად მედგარი ბრძოლით კაპიტალიზმის წინააღმდეგ მას შეუძლია სამუდამოთ თავი დააღწიოს მონობას, ჩაგვრას და გახდეს სრულ-უფლებიანი წევრი საზოგადოებისა. ამიტომ მან დაიწყო ორგანიზაციულად შეკავშირება და დარაზმვა არსებულ წესწყობილების, მტაცებელ იმპერიალიზმის წინააღმდეგ.

თავისი საერთაშორისო დღე მუშა-ქალებმა პირველად იდღესასწაულეს 1911 წელს.

ამიერიდან ყოველ წლიურად მართავდენ მუშა-ქალები ამ დღესასწაულს. ბურჟუაზიული პოლიცია სდევნიდა მათ, ციხეებში აპატიმრებდა, ასამართლებდა, მათრახით და თოფით ფანტავდა მათ დემონსტრაციებს. მაგრამ რაც დრო და ხანი მიდის მუშა-ქალების საერთაშორისო მოძრაობა სულ უფრო და მძლავრ ხასიათს ღებულობს.

საერთაშორისო პროლეტარიატის გარშემო დღითი დღე თავს იკრებს გაწამებულ მუშა ქალების უამრავი ლეგიონები.

სულ სხვა მდგომარეობაში იმყოფებიან დღეს მუშა ქალები საბჭოთა რესპუბლიკებში.

ოქტომბრის ძლევამოსილმა რევოლუციამ დაანგრია მემამულეთა და ბურჟუაზიის ბატონობა და გაანთავისუფლა მათი მონობისაგან პროლეტარიატთან ერთად მუშა-ქალებიც.

შვიდი წელია, რაც საბჭოთა კავშირის განთავისუფლებული მუშა-ქალი ეწევა გამალებულ მუშაობას მუშებთან ერთად პროლეტარიატის დიქტატურის გასამტკიცებლად და სოციალისტური მეურნეობის ასაყვავებლად.

თავის საერთაშორისო დღეს საბჭოთა კავშირის მუშა ქალები საბჭოთა ხელისუფლების არსებობის მეშვიდე წელზე ხვდებიან ისეთ მომენტში, როდესაც მსოფლიო რევოლუციის საჭესთან აღარ სდგას ამხ. ლენინი.

ეს გარემოება ავალებს ყველა მშრომელ ქალებს მეტის ენერგიით და სიმტკიცით შემოკრბენ კომპარტიის გარშემო და მუშებთან და გლეხებთან ერთად განახორციელონ ძვირფასი ბელადის ყველა ანდერძები.

გაუმარჯოს საერთაშორისო მუშა-ქალთა დღეს!

გაუმარჯოს მშრომელი ქალების საერთაშორისო სოლიდარობას!

გაუმარჯოს კომუნიზმს!

„8" მარტი.

გაიღვიძე! გადასძახა ჩაგრულ ქალებს 910-მა
ახალი გზა უნდა ჰპოვოს ძველმა წესმა და ადათმა;
გაიღვიძე! გამოფხიზლდი! ბრძოლის ცეცხლში იყავ სალი,
მოიცალე მონის ხვედრი, შეჰქმენ ტურფა მომავალი.

შენ არა ხარ სხვაზედ მცირე, თანსწორობა მიზნად ჰსახე
და კავშირი ყველა ქვეყნის ჩაგრულ ქალთა გამონახე;
ძირს მონობა! ოჯახური ბორკილები აიყარე
თანასწორი გახდი კაცთან და მომავლით გაიხარე!

„8" მარტს, მკვეთრად ეს სიტყვები, კიდით კიდე ყველგან ჰქუხდა
და იმედი წარსულისა დღეს აყვავდა, დღეს ასრულდა;
ნათლად ვხედავთ იმ კავშირმა თუ სადამდე მიაღწია
რა მშვენივრად აკეკლუცდა ეკალ-ნარზედ ტურფა ია!

უფლებით თანასწორი იღიმება შვებით ქალი,
გამოსჭედა ბრძოლით ცეცხლში საზეიმო მომავალი;
ვაშა თქვენს გზას, ჩვენც შევძახებთ, გაუმარჯოს მიზანს დიადს
რომ სამყაროს გადაუშლით საოცნებო მსხნელ განთიადს!

ვაშა! მასაც, ვინც ბრძოლაში არ ზოგავდა არსად არას
სულის ჩამდგმელს კავშირისას, საამაყო გმირ ქალს კლარას!

ვაშა! ვაშა! მთელ მშრომელთა სათაყვანო სიმპატიას
ბრძოლის ცეცხლში გამობრძმედილს სიმართლის მცველ კომპარტიას;
ვაშა! იმას, ვინც ამ ბრძოლას შთაუნერგა მტკიცე სული,
ვაშა! ვინც რომ გაამეფა: შრომა, ძმობა, სიყვარული!

ვაშა ბელადს, ვაშა ლენინს, მაჩვენებელს დიად გზისას,
გამარჯვება ჩვენს მომავალს, გამგრძელებელს მის საქმისას.

დ. ხიხაძე.

მშრომელ ქალთა საერთაშორისო კომუნისტური დღე.

დღეს, 8 მარტს კომუნისტური ინტერნაციონალი და მისი შემადგენელი კომუნისტური პარტიები მართავენ მშრომელ ქალთა საერთაშორისო კომუნისტურ დღეს.

ეს დღე აუწყებს მსოფლიოს მშრომელ ქალებს სასიხარულო ამბავს, რომ ტანჯვისაგან, ყვლეფისაგან და მონობისაგან მათ გაანთავისუფლებს კომუნიზმი. მაგრამ განთავისუფლება შესაძლებელია იმ პირობით, თუ რომ მშრომელი ქალები თვით იბრძოლებენ კომუნისტურ პარტიის რიგებში ან მასთან ერთად პროლეტარიატის დიქტატურის დასამყარებლად, მყვლეფელთა ბორკილების დასამსხვრევად.

მსოფლიო ბურჟუაზიის შემოტევა მუშათა კლასის წინააღმდეგ გრძელდება, იაპონიაში, ბულგარეთში და ესპანეთში ჩვენ ვხედავთ სამხედრო დიქტატურას, იტალიაში ფაშიზმის ბატონობას, გერმანიაში ბურჟუაზიის აღვირ ახსნილ თარეშს. სამხედრო დიქტატურა, ფაშიზმი მთელი ბურჟუაზია უმოწყალოდ იმონებს მუშათა კლასს და უკანასკნელ ლუკმა პურსაც კი ართმევს მას. და ცხადია, რომ მუშა ქალებს, რომლებსაც უფრო ნაკლები უნარი აქვთ წინააღმდეგობის გაწევის, უმძიმეს ტვირთად აწვება მთელი საშინელება.

ერთად ერთი ქვეყანა მსოფლიოში საბჭოთა კავშირია, სადაც ქალები გათანასწორებული არიან ყოველგვარ უფლებებში მამაკაცებთან. საბჭოთა კავშირში დედაკაცი განთავისუფლებულია, ის სრულ-უფლებიანი წევრია სოციალისტურ რესპუბლიკის.

ბურჟუაზიულ ქვეყნებში კი ასე როდია. არც ერთ ბურჟუაზიულ სახელმწიფოებში ქალებს არ აქვთ სრული მოქალაქობრივი უფლება. მუშა ქალებს, ძუძუ მწოვარ ბავშვების აღმზრდელებს ბურჟუაზია სასტიკად ყვლეფს, 10-12 საათი ქარხანაში ამუშავებს. კიდევ უარესი მდგომარეობაა აღმოსავლეთში. ზოგი ქვეყნებში ქალს არ შეუძლია საზოგადოებაში გაიაროს, პირ ახდილი იყოს. მრავალ ცოლიანობა ერთი უბოროტესი მოვლენათაგანია კაცობრიობის.

ასეთ მოვლენებს ადრე თუ გვიან ბოლო უნდა მოეღოს. როგორც დასავლეთში ისე აღმოსავლეთში ქალი უნდა განთავისუფლდეს. ამ მიზანს ისახავს ქალთა საერთაშორისო დღე. მაგრამ მარტო ამით არ განისაზღვრება 8 მარტის დღის დანიშნულება.

საბჭოთა კავშირში ქალთა საერთაშორისო დღე მოუწოდებს მშრომელ ქალებს თავის დასავლეთის და აღმოსავლეთის დების სოლიდარობისაკენ, მეურნეობის და აღმშენებლობის მუშაობაში აქტიურ მონაწილეობისაკენ. ბურჟუაზიულ ქვეყნებში 8 მარტის დღის დანიშნულება სხვა გვარია. პური, თავისუფლება და უფლება, სასტიკი ბრძოლა მჩაგვრელ ბურჟუაზიის წინააღმდეგ—აი ბურჟუაზიულ ქვეყნებში ქალთა დღის ლოზუნგები.

განსაკუთრებულ მდგომარეობაში დღეს გერმანიის მუშათა კლასი იმყოფება. მილიონები უმუშევრები, სიმშილი, სიცივე, ავადმყოფობა, სიკვდილი—აი დღევანდელ გერმანიის სურათი. ამისათვის ქალთა სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთაშორისო დღის საერთაშორისო ლოზუნგი-გერმანიის მუშათა კლასის დახმარებაა, გერმანიის პროლეტარიატს ფიზიკური განადგურებით ემუქრება ბურჟუაზია, ის ყოველგვარ ძალღონეს ხმარობს, რომ დაასუსტოს გერმანიის მუშათა კლასი და შემდეგ განუსაზღვრელად ებატონოს მასზე. მშრომელთა ხმა ას- 8 მარტს უნდა აღ[illegible]ალმდეგ და ეთ მდგომარ[illegible]ერთონ გერმანიის [illegible] მუშა ქალებს.

ბურჟუაზიულ ქვეყნებში ციხეები ავსებულია რევოლიუციონერებით, მუშათა კლასის ინტერესებისათვის შეუდრეკელ მებრძოლ კომუნისტებით. მრავალ ქვეყნებში მძვინვარებს თეთრი ტერორი. ბულგარეთში, იაპონიაში, იტალიაში და სხ. ბურჟუაზიის და სამხედრო დიქტატურის თარეშს საზღვარი არ აქვს. ცხადია, რომ ასეთ მდგომარეობის დროს მშრომელ ქალთა საერთაშორისო დღემ უნდა მოითხოვოს: „სასტიკი ბრძოლა თეთრი ტერორის წინააღმდეგ! დახმარება მის მსხვერპლთა! თავისუფლება დაპატიმრებულებს"!.

საერთაშორისო სოლიდარობის შეგნება მშრომელ ქალთა საერთაშორისო კომუნისტურ დღის წინაშე აყენებს კიდევ სხვა პოლიტიკურ ლოზუნგს: კოლონიალურ და ნახევრად კოლონიალურ ქვეყნებში ნაციონალურ მოძრაობისათვის მხარის [illegible]ლ აღმოსავლეთიდან დაჭერა. [illegible]ამდე ნაციონალურ განმათავისუფლებელ ბრძოლის ცეცხლი დაინთო. აღმოსავლეთის მონები სასტიკ ბრძოლას უცხადებენ დასავლეთის ყაჩაღებს. ყველგან ემჩნევა გამოფხიზლება დედაკაცს. ინდოეთში ათასობით ქალები ღებულობენ მონაწილეობას გაფიცვებში და სხვა მოძრაობაში.

აღმოსავლეთის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში დედაკაცს შეუძლია დიდი როლი ითამაშოს. ამისთვის უნდა გაუწოდოს მეგობრული დახმარების ხელი საერთაშორისო ქალთა დღემ აღმოსავლეთის მშრომელთ და გაამხნევოს ისინი.

ქალთა საერთაშორისო დღე დაუმტკიცებს მსოფლიოს მშრომელ ქალებს, რომ შეუძლებელია ხსნა სოციალურ რევოლიუციის გარეშე. მხოლოდ პროლეტარიატის გამარჯვება გაუხსნის დედაკაცს გზას სრულ სოციალურ და უფლებრივ თანასწორობისაკენ.

ზეფირ.

მუშა ქალთა საერთაშორისო დღე.

ამხ. კამენევის მისალმება.

სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. კამენევი, მუშა და გლეხ ქალების საერთაშორისო დღისთვის მიძღვნილ სალამში მიუთითებს, რომ კომუნისტური ქვეყანა აიგება პროლეტარიატის მიერ მხოლოდ მუშა და გლეხი ქალების შეთანხმებულ თანამშრომლობაში.

ამხ. კალინინი მშრომელ ქალებისადმი მისალმებაში აღნიშნავს, რომ წითელმა ოქტომბერმა რუსეთში გაუხსნა მუშა და გლეხ ქალებს უსაზღვრო ჰორიზონტები მათი განთავისუფლების გზაზე საუკუნო მონობისა და ჩაგვრისაგან.

მხოლოდ საბჭოები გაანთავისუფლებენ ქალებს.

საუბარი კურსკისთან.

როსტას თანამშრომელთან საუბარში, იუსტიციის სახალხო კომისარმა ამხ. კურსკიმ აღნიშნა, რომ მხოლოდ საბჭოთა კანონმდებლობა აძლევს ქალს სწორუფლებიანობას და იცავს მის ინტერესებს, როგორც მუშა ქალებისა და დედების.

საბჭოთა ქალი არ არის შებოჭილი ქორწინებით და ყოველთვის შეუძლია, სურვილისამებრ, დაარღვიოს ის. მთელი ყურადღება დღეს მიქცეულ უნდა იქნას იქეთ, რათა ქალს მიანიჭოს ფაქტიური შესაძლებლობა ისარგებლოს თავისი უფლებებით.

„მხოლოდ ქალის ფართე მონაწილეობა საბჭოთა მუშაობაში—ამბობს ამხ. კურსკი—ჭეშმარიტად გაანთავისუფლებს ქალს მასზე დაწოლილ მზრუნველობისაგან ბავშვებზე და მოაწყობს ბავშვთა სასოგადოებრივ აღზრდის საქმეს.

ქალი და მეცნიერება.

სახალხო განათლების კომისარიატის ანგარიშების მიხედვით მოსწავლე ქალების რიცხვი უნივერსიტეტებში შეადგენს 45 პროცენტს; უმაღლეს პედაგოგიურ სასწავლებლებში—70 პროცენტს, მედიკურ-სავეტერინაროში—53 პროცენტს, სასოფლო-სამეურნეო კურსებზე—26 პროცენტს, ტეხნ კურზე - 9 პროცენტს, მხატვრულ-მუსიკალურზე - 20 პროცენტი.

მოსკოვის მუშფაკებზე იმყოფება 23 ნახ. პროც. ქალებისა; ლენინგრადში—30 ნახ. პროც., პროვინციაში—28 პროცენტი.

ქალები შეადგენს 30 პროცენტს რსფსრ—ში მყოფ ექიმთა შორის, წინააღმდეგ - 10 პროცენტისა, რომელიც ირიცხებოდა 1913 წელში.

ქალი აღმოსავლეთში.

აღმოსავლეთში მუშა ქალთა საერთაშორისო დღე ჩატარდება შემდეგ ლოზუნგის ქვეშ: ქალთა განთავისუფლება მრავალ ცოლიანობისა და ნაადრევ იძულებითი ქორწინების გაუქმება, საბჭოთა აღმოსავლეთში, პროფკავშირებში ირიცხება 5.000 ქალი; 855 ქალი ირიცხება საბჭოთა საპასუხისმგებლო თანამდებობაზე, ამათ შორის აღმასკომების წევრია 104.

რკპ-ს წევრი ქალები.

1922 წლის ანგარიშების მიხედვით რუსეთის კომუნისტურ პარტიაში ირიცხება წევრებად 40.000 ქალი.

ამიერ კავკასიის მუშა და გლეხ ქალებს

8 მარტს, მუშა და გლეხ ქალთა საერთაშორისო დღეს, რუსეთის კომუნისტური პარტიის ამიერ კავკასიის საოლქო კომიტეტი სალამს უძღვნის ამიერ კავკასიის მშრომელ ქალს, რომელიც მიდის კომპარტიის და მე-3-ე ინტერნაციონალის დროშის ქვეშ; ესალმება გუშინდელ მონას, რომელიც თავის ერთან ერთად სასტიკ ჩაგვრას განიცდიდა რუსეთის უფისა და თავის ბურჟუაზიის უღლის ქვეშ,—დაშნაკების, მუსავატების და მენშევიკების სახით,—და დღეს სრულუფლებიან წევრს, რომელიც შედის საერთაშორისო მშრომელთა ოჯახში, ამიერ კავკასიის ფედერატიულ საბჭოთა რესპუბლიკების კავშირში და იღებს აქტიურ მონაწილეობას მსოფლიო შრომაში და ახალი ცხოვრების აღმშენებლობაში.

დეე, ამ დღემ შეაკავშიროს ილიჩის ანდერძის და მისი გამომხატველი—კომუნისტური პარტიის გარშემო, კიდევ მილიონები საქართველოს, სომხეთის და აძერბეიჯანის მუშა და გლეხ ქალთა საბოლოოდ გასამარჯვებლად ქალთა მონობაზე, რომელიც წარმოადგენს ძველი, დანგრეული ქვეყნის სამემკვიდრეოს.

გაუმარჯოს 8 მარტს,—საერთაშორისო გლეხ და მუშა ქალთა დღეს!

გაუმარჯოს მე-3-მე ინტერნაციონალს, რომელიც მოუხმობს მშრომელ ქალებს კომუნიზმისთვის ბრძოლისაკენ!

გაუმარჯოს კომპარტიას, ამხ. ლენინის ანდერძების განმახორციელებელს!

რქპს ამ. კავკასიის საოლქო კომიტეტის მდივანი.

განცხადება

თბილისის საბჭოს პრეზიდიუმი ამით აცხადებს, რომ ორშაბათს ა.წ. 10 მარტს საღამოს 6 საათზე აღმასკომის შენობაში დანიშნულია შემდეგი სექციების ორგანიზაციული სხდომა.

დღის წესრიგი: 1. კომუნისტური სათათბირო დარბაზში.
2. ჯანმრთელობის საერთო განყოფილებაში ოთახი № 5, 3. განათლების განყოფილების შენობაში ოთ. № 32, 4. საფინანსო განყ. ოთახი № 17.

ზემოაღნიშნულ სექციებში ჩაწერილ ამხანაგებს ბიურო სთხოვს გამოცხადდენ ყოველი მიზეზის გარეშე აღნიშნულ დროზე.

პრეზიდიუმი.

რადიო-დეპეშები

— ავსტრიაში მოხდა მსხვილი შეტაკებები შტრეიკბეხერების და ბანკის მოსამსახურეებს შორის.

— ვალდარაისოს მახლობლად ჩაიძირა მგზავრებით იაპონიის გემი ოსაკა. დაღუპულთა რიცხვი ჯერ არ არის გამორკვეული.

— ბადენში დაითხოვეს 18 ათასი მუშა, რადგანაც არ დასთანხმდენ 9 საათის სამუშაო დღეს. პოლიციამ აამუშავა ტყვია მფრქვევი. ბევრი დაიჭრა.

საბჭოთა კავშირი

ფულის რეფორმა.

მოსკოვის საბჭო რკპ და მოსკოვის ქალაქის პროფკავშირთა საბჭო მოწოდებაში აღნიშნავს, რომ ფულის რეფორმის კარგად ჩატარებაში მეტად დაინტერესებულია მუშათა კლასი, ვინაიდან ამას მისთვის საარსებო მნიშვნელობა აქვს. საჭიროა პირველ რიგში უნდა ვეცადოთ ფასების დაკლება იმ საქონელზე, რომელიც მუშებისა და გლეხების აუცილებელ საჭიროებას შეადგენს. მოწოდება ურჩევს ყველა ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტებს, უჯრედებს და პროფკავშირების სამმართველოებს გამოარკვიონ, რა გაკეთდა კოოპერატივების გამგეობათა მიერ, რომლებთანაც მათ ახლო კავშირი აქვთ ფასების დაკლების საქმეში, დაყველა მუშებს—თვალყური ადევნონ რათა სავაჭრო დაწესებულებებში თვალსაჩინო ალაგებზე გამოკრულ იქნან ფასების დაფები მთავარ საგნებზე.

მეფის ვერცხლის ფულის შესახებ,

საბჭოთა კავშირის სახფინკომმა, საკავშირო და ავტონომიურ რესპუბლიკების სახკომატებისადმი დაგზავნილ ცირკულიარში, კატეგორიულად აუკრძალა ძველი, მეფის ფულის მიღება; დამნაშავენი დასჯილ იქნებიან სისხლის სამართლის ძალით. სახფინკომი იუწყება, რომ გადაწყვეტილია სახფინკომის ადგილების ორგანოებში მოეწყოს ძველი ფულების შესყიდვის საქმე. უკანასკნელის შესყიდვისშესახებ ინსტრუქციები გამოცხადდება დამატებით.

გლეხთა ინტერესები რეფორმისადმი.

გლეხები მეტად დაინტერესებულია ფულის რეფორმით; მრავალ სოფლებიდან მოდიან სპეციალურად დანიშნული პირები საფინანსო ორგანოებში, ახალი ფულის შესახებ ცნობების მისაღებად.

კრასნოშჩეკოვის საქმე.

დაწესებულების სალარო, როგორც თავის ჯიბე.

კრასნოშჩეკოვის პროცესზე გრძელდება მოწმეების დაკითხვა.

მოწმე ეიხე. ყოფილი სამრეწველო ბანკის გამგე სამნეო განყოფილების შორეულ აღმოსავლეთის რესპუბლიკის ჯარების სარდალი, დაჯილდოებული წითელი დროშის ორდენით და ოქროს საათით ცენტრალურ აღმასკომისაგან.

მან აღნიშნა ალექსანდრე კრასნოშჩეკოვის ანგარიშების სიყალბე სამრეწველო ბანკის ხარჯზე.

ძირს უსწავლელობა.

ჩვენი წ.-ჯარის შემადგენლობის უმეტესი ნაწილი გლეხის შვილებია და როგორც ჩვენი გლეხობა ჩამორჩენილია საზოგადოებრივი კულტურას, აგრეთვე მისი შვილების უმრავლესობა მოკლებულია წერა-კითხვის ცოდნას. ეს კი ერთობ დიდი ნაკლია ყველასათვის, და ვინც წერა-კითხვა არ იცის, ის ჩამოშორებულია ყოველივეს, რაც მის გარშემო ხდება. მისთვის მიუწდომელია არამც თუ გაიგოს რა ხდება სხვადასხვა სახელმწიფოებში, არამედ მის საკუთარ რესპუბლიკაშიც კი, ის ნახევრად ბრმაა ამ ცხოვრების გასაცნობათ და დამოკიდებულია სხვაზედ ე. ი. იმაზედ, რომელმაც იცის წერა-კითხვა.

უსწავლელობის შესახებ ბევრ მწერლებს და პოეტებს უწერია. მაგრამ ქართველ პირველ მწერალთა შორის ამაზედ დასწერა გურამიშვილმა. ის გვეუბნება და გვასწავლის: „თუ კაცსა ცოდნა არა აქვს, გასტანჯავს წუთი სოფელიო" ეს მან დასწერა მე-18-ე საუკუნეში და მას შემდეგ ბევრმა მწერალმა გაიმეორა ეს, მაგრამ ამ გამოძახილმა ვერ ჰპოვა ნიადაგი ფართე მასებში სოციალურ-პოლიტიკურ პირობების გამო. მშრომელი ხალხი უსწავლელი და გაუნათლებელი რჩებოდა. მაგრამ დროთა ვითარებამ დაამხო ძველი წესი. ჩააბარა ისტორიას ყოველივე ის, რაც მუშათა და გლეხებისათვის უვარგისი იყო და დაამკვიდრა ქვეყნის მეექვსე ნაწილზედ საბჭოთა ხელისუფლება.

ამ დღიდან იწყება ახალი ხანა მუშების და გლეხების ისტორიის განვითარებისა. ეს პროცესი ქმნის ცხოვრების ახალ ფორმას მუშათა და გლეხთა საბჭოების სახით, რომელიც მშრომელ ხალხის დიდი ხნით გულში ნადებს ახორციელებს ცხოვრებაში.

ამიტომ არის რომ ეს ხელისუფლება თავდადებით ებრძვის უსწავლელობის მოსპობას მუშებსა და გლეხებს შორის. მან კარგათ იცის თუ რა მნიშვნელობა აქვს უცოდინარობას მშრომელთა მასაში. მან კარგათ იცის რომ უსწავლელი მუშა და გლეხი ნასწავლზედ არის დამოკიდებული და ჩვენი მოვალეობა კი გვიკარნახებს, რომ ყველა მშრომელი უნდა იყოს დაინტერესებული და აქტიური წევრი მუშურ-გლეხური სახელმწიფოისა. ამიტომ ჩვენი მთავრობა უპირველეს ყოვლისა ხსნის სკოლებს სოფლად, ქალაქად, განსაკუთრებით წერა კითხვის უცოდინართა სალიკვიდაციოთ, რისთვისაც არ ერიდება არავითარ ხარჯებს.

ამ საქმისათვის სახელმწიფოს შემოსავლის 53 პროც. ხარჯავს მთავრობა, და როგორც იცით, ჩვენს დივიზიაში მაისში მოწვეულთა შორის წერა კითხვა შეისწავლა ორი ათას ხუთასმა კაცმა. ეს რიცხვი იმის დამამტკიცებელია, რომ ჩვენი მთავრობა ათი თვის განმავლობაში სოფლებს აძლევს ამდენ წერაკითხვის ახალ შეძენილ გლეხის შვილებს. საბჭოთა მთავრობა, როდესაც იწვევს ჯარში გლეხის შვილებს, მთავრობის მოვალეობას შეადგენს, რომ წითელ-მხედარს, რომელიც სდგას რევოლიუციის სადარაჯოზედ, თოფით ხელში, ნათელი წარმოდგენა უნდა ქონდეს თუ ვის ინტერესებს იცავს ის, და რისთვის მოიწვია საბჭოთა მთავრობამ.

დღეს ჩვენი ყაზარმები ნამდვილი სკოლაა, როგორც სამხედრო დარგის, აგრეთვე კულტურულ პოლიტიკურ განვითარების. ეს ყველა წითელ მოლაშქრემ კარგათ უნდა იცოდეს და რა ცოდნაც მას მისცა განახლებულმა ყაზარმამ, ის მან უნდა მოახმაროს სოფელს, მშრომელთა ცხოვრების გაუმჯობესების საქმეს.

ს. ლომიძე.

ქართული დივიზიის უპარტიო წითელ არმიელთა 1-ლი კონფერენცია.

მეორე დღე

6 მარტს, დილის 10 საათზე. თავმჯდომარე ამხ. თენგიზ ჟღენტი. დღის წესრიგის თანახმად 1-ლი საკითხი არის მოხსენება ლენინის პიროვნების, ცხოვრების და მოღვაწეობის შესახებ.

მომხსენებელია ამხ. ს. ორჯონიკიძე.

ამხ. ს. ორჯონიკიძეს სიტყვა. *)

ამხანაგებო, ჩემი დღევანდელი მოხსენების საგანი არის ისეთ დიდ კაცზე ლაპარაკი, როგორიც იყო ლენინი. „ლენინი, მისი ცხოვრება, მისი მოძღვრება და მისი მოქმედება“, აი როგორია ჩემი დღევანდელი თემა, რომლის ამოწურვასაც მე შევეცდები, მაგრამ არა თუ მე, არამედ, მე მგონია, არ მოიძებნება მსოფლიოში ისეთი კაცი, რომელსაც შეეძლოს არა თუ რამოდენიმე საათში და ისიც ერთი მოხსენებით, არამედ რამოდენიმე მოხსენებითაც სრულიად ამოსწუროს ეს თემა და მისწვდეს იმ საიდუმლოებას, რომელიც ჩამარხულია ლენინის პიროვნებაში, როგორც სადა, მდაბიო და გენიოსურ მოაზროვნეში.

ლენინი—დიდი პიროვნება.

ლენინი ბუმბერაზი პიროვნებაა. დღეს ეს გარემოება არავისათვის აღარ არის სადაო. ამაში შეთანხმებული არიან დღეს ყველანი. ბურჟუაზიაც კი არ უარყოფს ლენინის დიდ ტვინს. არ მოიძებნება დღეს ისეთი გარეწარი და უსინიდისო, რომელმაც უარყოს ეს ფაქტი. ლენინმა, როგორც პიროვნებამ, დააინტერესა ყველა: ბურჟუაზიაც, მემამულეებიც, მუშებიც, რევოლიუციონერებიც და, საზოგადოთ, ყველა ის, ვისთვისაც არსებობს რაიმე ინტერესი ცხოვრებაში.

ვინ იყო ლენინი, ვისი შვილი იყო, როგორ ცხოვრობდა, როგორ ატარებდა დროს მაშინ, როცა მთავრობის თავმჯდომარე იყო, ან მაშინ როცა იგი სცხოვრობდა საზღვარ გარეთ.

ჩვენთვის ამ ჟამათ საინტერესო არაა ის, რომ ლენინი იყო სახალხო სასწავლებელთა დირექტორის შვილი, ან დედა რომ ყავდა უბრალო ქალი და სხვა. ასეთი ცნობები თქვენ შეგეძლოთ მიგეღოთ იმ ნაბეჭდ მასალაში, რომელიც ამის შესახებ გამოქვეყნებულია.

ლენინი და მარქსი

თქვენ ალბათ, ამხანაგებო, ხშირათ გაგიგონიათ ამ ორი სახელის შედარება. კითხულობენ მარქსი უფრო დიდია თუ ლენინიო. ამაზე პასუხის გაცემა ძნელი საქმეა, რასაკვირველია, მაგრამ საქმისადმი ჩაკვირვება ჩვენ დაგვარწმუნებს, რომ ეს ორივე პიროვნება იყვნენ უდიდესი პიროვნებები თავ-თავიანთ ეპოქებისათვის. ის, რაც მარქსმა შექმნა თავის დროზე, მეტის შექმნა არ შეიძლებოდა. ის რაც ლენინმა შექმნა წარმოუდგენელია სხვას ვისმეს შეექმნა. ამნაირათ მათი შედარება არ შეიძლება. ისინი ორივენი დიდები არიან. ლენინი მარქსის მოწაფეა. ლენინი მარქსის თეორიის პრაქტიკული განმახორციელებელია და ამ მხრივ მას ბადალი არა ყავს.

ლენინი, როგორც ბელადი.

სოციალისტები სხვებიც იყვნენ. თქვენ უსათუოდ გაგეგონებათ კაუცკის სახელი. იგი ითვლებოდა 1914 წლამდი, ე. ი. სანამ საერთაშორისო ომი დაიწყებოდა, მუშათა კლასის ბელადათ. მას ბევრი ნაწერებიც აქვს მუშათა საკითხზე, მაგრამ დღეს იგი ცხოვრებამ ჩამოარჩინა რევოლიუციას და მან თავი ამოყო ყვითელ სოციალისტების ბანაკში, რომელნიც არსებითად უდრიან იმავე რეაქციონერებს. ჩვენშიაც იყვნენ პოლიტიკური პარტიები, რომელთაც ყავდათ თავ-თავიანთი ლიდერები, მაგრამ არავის აზრათაც არ მოუვა შეადარონ ისინი ლენინს.

ლენინმა იწინასწარმეტყველა პროლეტარულ რევოლიუცია.

ჯერ კიდევ საერთაშორისო ომის დაწყების პირველ ხანებში ლენინმა იწინასწარმეტყველა პროლეტარული რევოლიუციის აუცილებლობა. მან სთქვა: საჭიროა, რომ ხელი შეუწყოთ ომს არა ნაციებს შორის, არამედ ომს პროლეტარიატსა და მის საკუთარ ბურჟუაზიის შორისო. საჭიროა რევოლიუციის ინტერესებისათვის, რომ რუსეთი დამარცხდეს ამ ომიანობაში დაილეწოს მის დღევანდელი წესწყობილება, რათა—შემდეგ მის მაგიერ აშენდეს მუშათა და გლეხთა ხელისუფლებაო. მაშინ ნაციონალისტურმა წრეებმა ეს მიიღეს, როგორც მოღალატეობა და ლენინს დასწამეს გერმანიის ჯაშუშობა, მაგრამ ამხანაგებო, დღეს უკვე ცხოვრებამ სავსებით გაამართლა ლენინის ასეთი შეხედულებანი.

როგორია ფაქტი.

ის, რაც მარქსმა ამ ნახევარი საუკუნის წინეთ დასწერა და სთქვა ეს განხორციელდებაო, დღეს უკვე განხორციელებულია საბჭოთა რესპუბლიკებში. ლენინიზმის იდეა დღეს მეფობს მთელი დედამიწის ერთ მეექვსედ ნაწილზე. საბჭოთა ხელისუფლება დღეს აერთიანებს 150 მილიონზე მეტ ხალხს. ესაა ფაქტი, სინამდვილის ფაქტი და ამ ფაქტს დღეს გარეშეებიც და შინაურებიც ანგარიშს უწევენ.

იძულებული იყვნენ.

ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ არავის არ სურდა ანგარიში გაეწია საბჭოთა სახელმწიფოებისათვის, მაგრამ პროლეტარიატის თავდადებამ და წითელი არმიის გმირობამ იმდენათ განამტკიცა ჩვენი მდგომარეობა, რომ უცხო სახელმწიფოები იძულებული გახდნენ ეცნოთ ჩვენი სახელმწიფოების კავშირი. დღეს საბჭოთა სახელმწიფო ჩაება საერთაშორისო ფერხულში, როგორც უაღრესათ დიდი და საგრძნობი მსოფლიო ძალა.

ლენინი და კომპარტია.

ლენინი არის კომუნისტური პარტიის პირველი საძირკვლის ჩამყრელი. მან ააშენა ჩვენი პარტია თავიდან ბოლომდე. იგი იყო ის დიდი ოსტატი, რომელმაც წარმართა ოქტომბრის რევოლიუციის გეზი და ხელში აღებინა ძალა უფლება კომუნისტურ პარტიას. არც ერთი პოლიტიკურ პარტიას არ ყოლია ისეთი გენიალური ბელადი, როგორიც ლენინი ყავდა კომპარტიას. ერთი ფაქტია აღსანიშნავი. მაშინ, როდესაც ლენინი ჩვენგან დაშორებული იყო რამოდენიმე ათასეული ვერსის მანძილზე, მაშინაც კი მისი მოწაფეები ვგრძნობდით მასთან ახლო კავშირს. მისი ნაწერები ჩვენზე მოქმედებდნენ ისე, როგორც არავისზე არავის ნაწერი არ მოქმედობს.

ლენინი კერძო ცხოვრებაში.

მაგრამ, მიუხედავათ ლენინის ასეთი ბუმბერაზობისა, ლენინი კერძო ცხოვრებაში ძლიერ თავმდაბალი და უბრალო კაცი იყო. მასთან თავისუფლათ შეეძლო, მისვლა ყველას ვისაც კი სურდა. ეს იყო მაშინაც, როცა ის ემიგრანტობდა და მაშინაც, როცა იგი მთავრობის თავმჯდომარე იყო და ყელამდე ავსებული იყო სახელმწიფოებრივი საქმეებით. მე მოგიყვანთ ერთ მცირე მაგალითს. მაშინ 24 წლის ვიქნებოდი, როდესაც გადავსწყვიტე საზღვარ გარეთ გაქცევა. ვსცხოვრობდი სპარსეთში, მაგრამ საქართველოში დაბრუნება არ შემეძლო. გადავსწყვიტე პარიზში წასვლა და წავედი კიდეც. მივედი პირდაპირ ლენინის ბინაზე. გარეთ შემხვდა უბრალოთ გამოწყობილი მანდილოსანი, რომელიც თურმე ლენინის ცოლი იყო. მან მიმაწვია სახლში, ლენინი კი თითონ სახლში არ დამხვდა. პატარა ხანს შემდეგ ბინაზე შემოვიდა დაბალ-დაბალი კაცი. მომესალმა დიდის ამბით. ეს კაცი ლენინი იყო. გამომკითხა ამბავი, მესაუბრა დიდ ხანს და ისე დამიმეგობრდა რომ მეც მაკვირვებდა მისი ჩემდამი მზრუნველობა. იგი არასოდეს არ იბნეოდა წვრიმალ საკითხებში. მის საკვირველ მეხსიერებას არაფერი არ ავიწყდებოდა. ეხლა გაცილებით უფრო ძნელია უბრალო თანამდებობის კაცის ნახვა, ვიდრე ლენინის ნახვა. მასთან დაუბრკოლებლათ შეეძლო მისვლა, როგორც ქართველს ისე ჩინელს, ისე იტალიელს და სხვებს. იგი თანაბარის მზრუნველობით ეპყრობოდა ყველას.

ლენინი და საქ. წით. ჯარი.

გასაბჭოების შემდეგ ჩვენ მოგვწერა წერილი ამხ. ლენინმა სადაც გვაძლევდა ბევრ ღირსშესანიშნავ დარიგებას და სხვათა შორის გვირჩევდა იმასაც, რომ უსათუოთ შეგვექნა ჩვენი, ქართული წითელი ლაშქარი. ამნაირათ ჩვენი ლაშქრის ორგანიზაციის და მოწყობის უმთავრეს მიზეზათ უნდა ჩავსთვალოთ ამხ. ლენინის დაუვიწყარი დარიგება.

რას გვაძლევს ლენინიზმი.

როდესაც ლაშქრელები დაბრუნდებიან თავ-თავიანთ სახლებში მათი მოვალეობაა რომ ისინი გახდნენ ადგილობრივ ლენინიზმის მასწავლებლებათ. დაიცავით გლეხის ინტერესები. არ შებღალოთ ქართველი ერის თავმოყვარეობა. არ აწყენინოთ ქართველ მშრომელ ხალხს და ვინც ეს მოინდომოს მას მოსტეხეთ კისერი.

დღეს გამეფებულია კომუნიზმი, რომელიც წინააღმდეგია ყოველგვარი ჩაგვრის. ჩვენ წინააღმდეგი ვართ, როგორც კლასობრივი აგრეთვე ეროვნული ჩაგვრისაც.

მაგრამ საკითხავია შესძლებთ თუ არა თქვენ ამ დიდი მისიის შესრულებას? ამას მომავალი დაგვანახვებს და მე გისურვებთ, რომ თქვენ პირნათლათ შეგესრულებიოთ თქვენი ასეთი წმინდა მოვალეობა. (ტაში. ინტერნაციონალი).

ამხ. ორჯონიკიძის მოხსენების შესახებ კონფერენციამ გამოიტანა შესაფერისი რეზოლიუცია, რომელიც ცალკე დაიბეჭდება ჩვენს გაზეთში.

შემდეგ პრეზიდიუმი კითხულობს მისასალმებელი დეპეშების ტექსტს.

დეპეშებიც ცალკე იქნება დაბეჭდილი. კონფერენციის სხდომა შესწყდა საღამოს 5 საათამდე.

---

*) სიტყვა მოგვყავს შემოკლებით.
რედ.

ჩვენი წითელი ჯარი

ცალკე საკავშირო ასეული.

24 თებერვალს შესდგა ჩვენი ასეულის კომუჯრედის ღია კრება, რომელსაც დაესწრენ მრავალი უპარტიო ამხანაგებიც.

დღის წესრიგი:

1. საბჭოთა კავშირის ცნობის გარშემო.
2. მუშების ლტოლვა კომპარტიისაკენ და
3. მიმდინარე კითხვები.

პირველ კითხვაზე მოხსენება გააკეთა ამხ. კუპუაშვილმა, რომელმაც გააშუქა ეს კითხვა და გააცნო კრებას იურიდიულად ცნობის საკითხი, მასთან დაკავშირებული კითხვები და მომავალი.

მეორე კითხვაზე მოხსენება გააკეთა ამხ. მაჩიტაძემ, რომელმაც აღნიშნა მუშების ლტოლვა კომპარტიისაკენ და მუშაობა ამ დარგში.

მოხსენებებმა კარგი შთაბეჭდილება დასტოვა კრებაზე.

მიმდინარე კითხვების შემდეგ, კრება დაიხურა.

ს.

მესამე ლეგიონის ქრონიკა ქ. ქუთაისში.

ხსენებულ ლეგიონში არსებობს 8 სამეცნიერო წრეები, რომლებსაც ყავს განსაკუთრებული ხელმძღვანელები; მაცადინეობა, რადგანაც ჯარი კარანტინში იმყოფება სწარმოებს ასეულებში.

ლეგიონში გამოდის ყოველკვირეული კედლის გაზეთი „წითელი მებრძოლი“, რომელშიდაც გარდა უფ. და პოლიტშემადგენლობისა, თანამშრომლობდნენ წითელ არმიელები, თავიანთი ასეულის ცხოვრების შესახებ.

ამავე ლეგიონში გამოდის პოლიტიკური წრის ყოველკვირეული კედლის გაზეთი „წითელი არწივი“.

ჩვენი ლეგიონის ლიტერატურული წრე, მარტის თვიდან, უშვებს თავის ორგანოს ყოველ ორკვირეული ჟურნალის „ფენიქსის“ სახელწოდებით.

თებერვლის თვის განმავლობაში ლიტ. წრემ, მაცადინეობასთან ერთად მოაწყო ასეულებში ლიტერატურული გასამართლებები, სადაც აქტიური მონაწილეობას იღებდენ, როგორც დამცველის როლში, ისე ბრალდებისა და ბრალმდებლისაში გამოვიდნენ თვით წითელ არმიელები.

სამხკორი ს. ყუბანეიშვილი.

მესამე ლეგიონის სამკითხველოს შესახებ ქ. ქუთაისში.

სამკითხველო, რომელსაც ჩვენ გვსურს ეხლა გაკვრით შევეხოთ, არის მოთავსებული ლეგიონის შტაბის ბინაზე, სადაც, პირველად შესვლისთანავე ხიბლავს სხვა და სხვა ბელადების სურათები და კედლებზე მშვენიერი წარწერები; აქვე არის კედელზე გაკრული სამკითხველოს დიაგრამები, კატალოგები სხვა და სხვა დარგის წიგნების ცალ-ცალკე და პლაკატები მშვენივრად დახატული ამავე ლეგიონის წით. არმ. ივანოვის მიერ; სჩანს ამხ. ივანოვს ქონია ნიჭი ხატვისა და ჩვენ უსურვებთ მას ამ დარგში თავისი გონების თან და თან განვითარებას.

სამკითხველოში არის ერთი დიდი მაგიდა, სადაც აწყვია სხვა და სხვა გაზეთები და წითელ არმიელები, უფ. და პოლიტშემადგენლობა დიდი ენტუზიაზმით კითხულობენ. სამწუხაროდ გაზ. ,,წითელი არმიელი'' მოგვდის ძალიან დაგვიანებით, მხოლოდ რუსული „წითელი მხედარი“ კი, წინა დღის გაზეთი მოგვდის მეორე დღეს.

სამკითხველოშივე არის გამოყენილი ნაწილი წიგნებისა, მაგრამ უნდა შევნიშნოთ, რომ უმეტესი ნაწილი ამ წიგნებისა უჭირავს რუსულს, რაც, რა თქმა უნდა, არ არის საკმარისი; ამ მხრივ საჭირო არის ვისგანაც ჯერ არს, რომ იქნეს მიღებული შესაფერისი ზომები, რათა რუსულ წიგნებთან ერთად იქნეს ქართული წიგნებიც.

საერთოდ სამკითხველოში ყველაფერი რიგიანად არის მოწყობილი, დისციპლინაც დაცული არის, რაც ალბათ მიეწერება ბიბლიოთეკის გამგის ბეჯითობას.

სამხკორი ს. ყუბანეიშვილი:

ამხ. კონხარელის წერილის გამო.

ამხ. რედაქტორო!

თქვენდამი რწმუნებულ გაზეთის 444 ნომერში მოთავსებულია დიმ. კონხარელის წერილი, რომელიც ეხება თფილისის გარნიზონის საბიბლიოთეკო საბჭოს და 1-ლ ლეგიონის საბიბლიოთეკო მუშაობას და აქებს ამხ. მურადოვის ქალს, რომლის საწინააღმდეგო მე არაფერი არა მაქვს.

მხოლოდ მე მაკვირვებს ამხანაგის შეხედულება ლეგიონის დრამ-წრეზედ, რომელიც დიდ საყვედურს უცხადებს და მიწასთან ასწორებს. დრამ-წრეს აბრალებს პიესის დამახინჯებას, და თითქოს დრამ-წრემ ისე

დადგა პიესა, რომ აგიტაცია კი არა, წინააღმდეგი იყო აგიტაციის. ქვევით ამბობს:

„კამათში მხურვალე მონაწილეობა მიიღეს არმიელებმა“.

მე მაკვირვებს ამხანაგის აზრი, როგორ, რაში მიიღო არმიელებმა მონაწილეობა?

საბიბლიოთეკო მუშაობის სააგიტაციო ინსტრუქციის წინააღმდეგ, თუ გააძლიერეს აგიტაცია რომ სხვებსაც არ ჩაედინა ასეთები. მე მგონია აგიტაცია იყო საბიბლიოთეკო მუშაობის თავის დონეზედ დასაყენებლად.

მე არ მესმის რაში გამოიხატებოდა აქ დამახინჯება. იქნება ამხანაგო, გსურს, რომ სახაზინო თეატრის მსახიობები ვათამაშოთ სცენაზე? მაგრამ მათაც კი მოსდით შეცდომა. და თუ ჩვენი ლეგიონის დრამ-წრის წევრებმა, არმიელებმა შეცდომა დაუშვეს, გასაკვირი არ არის. თუ მადლობას არ ვეტყვით ბიბლიოთეკის სასარგებლო მუშაობაში, გინებას რას ვემართლებით.

თუ რომ პიესს დასჭირდება ძლიერი ძალები, ჩვენ ასეთებიც გვყავს და იმედი გვაქვს, რომ საქმეს არ გავაფუჭებთ.

მაშ ასე, ამხ. კოხნარელო! ეცადეთ, რომ როდესაც ერთს აქებთ, მეორეს მუშაობას წყალში ნუ ჩაუყრით და ნუ გალანძღავთ, თორემ ასე საქმეს ვერ გავაკეთებთ.

ქარჩხაბელი.

პირველი შეჯიბრი.

24 თებერვალს საქართველოს გასაბჭოების 3 წლის თავზე გაიმართა პირველი ჯომარდული შეჯიბრი ქართულ დივიზიის ნაწილთა შორის შეერთ. სამხ. სკოლის ბაქანზე. ეს იყო პირველი შეჯიბრი, რომელზედაც ყველა ნაწილებმა შესძლეს გამოეყვანათ თავისი მოჯიბრენი. აქამდისინ ჩვენ დივიზიის ნაწილები არც არასდროს არ შეხვედრიან ერთმანეთს, დღეს კი ყველას აქვს შეგნებული ტანვარჯიშის და ჯომარდობის საჭიროება და სარგებლიანობა. მიუხედავათ იმისა, რომ ზამთრის სიცივე ხელს არ უწყობს ვარჯიშობას, ნაწილებში დიდი ხნით ადრე დაიწყო მზადება ამ შეჯიბრისთვის. პროგრამმაც საკმარისად ვრცელი იყო მაგრამ რაკი იმავე დღეს სხვა ორგანიზაციებმაც მიიღეს მონაწილეობა ამ შეჯიბრში ყველა დარგები ვერ შესრულდა. იმისათვის რომ შეჯიბრს ჰქონოდა არა მარტო ჯომარდული არამედ სამხედრო ხასიათიც. პროგრამმაში შეტანილი იყო სამხედრო შეჯიბრებანიც: ჯირითი, ჩეხა, ყუმბარის ტყორცნა და სხვა. იმისათვის რომ შეჯიბრს ჰქონოდა მეტი მიმზიდველობა ჩვენს წითელ-არმიელთათვის გაიმართა აგრეთვე შეჯიბრი ქართულ ჭიდაობაში, რაც ყველა მათთვის ჩვეული და მშობლიოა.

ვრცელ პროგრამიდან შესრულებული იყო: რბენა 100 მეტრზე, ბირთვის კვრა, ყუმბარისის ტყორცნა, ხტომა ადგილიდამ სიგძეზე, ჭიდაობა, ზაგირის მიმოჭიმვა. ამას გარდა, სამხ. სკოლის კურსანტებმა გამართეს ჯირითი.

სწრაფრბენაზე 100 მეტრ. პირველი ადგილი დაიკავა ჯანჯღავამ (მესანგრეთა ას.) 14,1 წამში. 2-რე მირზოიანმა (1 ლეგ) 14,2 და მესამე დარჩია (არტ. დივ.)

ბირთვის კვრაში 1. რამახოვი (1 ლეგ.) 8.97 მეტრი. 2. ლეჟავა (არტ.დივ.) 8.65 მ. 3. ლაშქარიშვილი 8,56 მ. (მესანგრ. ას., ხტომაში სიგრძეზე: 1. რამახოვი 2 მ. 52 ს. ლაშქარაშვილი (სკავშ. ასეული) 2 მეტრი 44 სანტ. და 3. ლეჟავა 2 მ. 39 სანტ. ყუმბარის ტყორცნა: 1. ქართველიშვილი 2. ფხალაძე 3. ლაშქარაშვილი ზაგირის მიმოჭიმვაში მლევში (ფინალი) დარჩნენ 1-ლი ლეგიონი და მესანგრეთა ასეული გამარჯვებული დარჩა მესანგრეთა ასეული. ჭიდაობაშიც მესანგრეთა ასეულის ფალავანმა გაიმარჯვა.

დღესასწაული დამთავრდა ფეხბურთის შეჯიბრით სამხ. სკოლის და საარტ. დივიზიონ. გუნდებ შორის.

დღესასწაული საერთოდ წესიერად ჩატარდა, მაგრამ, რასაკვირველია, როგორც პირველმა უნაკლულოდ ვერ ჩაიარა. ასე მაგალითად შედეგები უმეტესად უმჯობესნი იქნებოდნენ რომ ბაქანი ყოფილიყო კარგათ მოწყობილი და გვქონოდა ნორმალური წონის ბირთვი ან ყუმბარა, იმედია შემდეგში ეს ნაკლიც აცილებული იქმნება.

შეჯიბრმა ყველაზე კარგი შთაბეჭდილება იქონია როგორც მონაწილეებზე ისე მაყურებლებზედაც ამის შემდეგ ალბათ ხშირათ გაიმართება ასეთი შეჯიბრებანი და განამტკიცებს ჩვენს წითელ-არმიელებში მამაცობას, მხნეობას, სისხარტეს და სხვა.

ყველა გამარჯვებულნი დაჯილდოვებულნი იყვნენ ოქროს და ვერცხლის ჯილდოებით და მასთანვე შესაფერ მოწმობით. ამას გარდა ცალკე მიიღეს ჯილდო გარდა კერძო შეჯიბრში გამარჯვებულებისა აგრეთვე მთელს ხუთ ჭიდში პირველს სამს: რამახოვმა ოქროს ჟეტონი და ლეჟავამ და ლაშქარაშვილმა ვერცხლის ჟეტონები. თვით პირველ ლეგიონმა მიიღო მოწმობა, რომ მასში ჩატარებულ ტანვარჯიშულ მუშაობამ იქონია შედეგათ ხუთჭიდში გამარჯვება. ასე რომ საერთო შედეგებით პირველი ადგილი დაიკავა 1-ლმა ლეგიონმა, მეორე საარტ. დივიზიონმა და მესამე მესანგრეთა ასეულმა.

გიტო.

ახალი ამბები

კონფერენციის დასრულება.

გუშინ, 7 მარტს დასრულდა ქართულ დივ. უპარტიო წითელ არმიელთა კონფერენცია.

მისალმებების გაგზავნა.

უპარტიო წითელ არმიელთა კონფერენციამ მისასალმებელი დეპეშები გაუგზავნა საქ. ცენტ. აღმასკომს და საქ. კომპარტიის ცეკას.

ინვალიდებისათვის.

სახელმწ. ქაღალ. დამზადებელ ექსპედიციის თანამშრომლებმა გადასწყვიტეს თავიანთ ხარჯზე ორ ომის ინვალიდს გაუკეთონ ხელოვნური ფეხები.

საქონლის საექიმოთ.

გორის მაზრის სოფ. ოსიაურში იხსნება საქონლის საექიმო ლაბორატორია.

საქონლის ჭირი.

გორის მაზრაში ამჟამათ მძვინვარებს საქონლის ჭირი.

ალმასკომის „მოამბე“.

იბეჭდება და უახლოეს ხანში გამოვა ქალაქის აღმასკომის ორგანო „მოამბის“ მორიგი ნომერი.

ახალი საზოგადოება.

ტფილ. აღმასკომმა დაადგინა დაარსებულ იქნას უპატრონო ბავშვების მეგობართა საზოგადოება.

ქართული ენა რკ. გზაზე.

მთავრობის დადგენილებით საქ. ტერიტორიაზე არსებულ რკ. გზის დაწესებულებებში საქმეების წარმოება უნდა იქნეს ქართულ ენაზე.

ლენინის სახელობის სტიპენდია

რკ. გზ. პასუხის მგებელ მოხელეთა არტელის საზოგადო კრებამ დაადგინა დაარსოს ლენინის სახელობის 1 სტიპენდია სახელმწიფო უნივერსიტეტში.

სკოლების გახსნა.

ოზურგეთის მაზრის განათლების განყოფილებამ გახსნა მაზრაში სამი, ოთხკლასიანი შრომის სკოლები,

ხელოვნება.

მამის მკვლელი.

სამშაბათიდან კინო „არფასტოში“ და „აპოლოში“ დაიწყებენ „მამის მკვლელის“ ჩვენებას.

ახალი წიგნი.

9 მარტს გასასყიდათ გამოვა ან. ერისთავი ხოშტარიას ნაწერების ტომი „მიწა“

დიდი საღამო.

10 მარტს რუსთაველის თეატრში გაიმართება სათეატრო ინსტიტუტის სასარგებლოთ დიდი საღამო.

გ. ქუჩიშვილის სასარგებლოთ.

აძრულია შუამდგომლობა ავთმყოფ პოეტ გ. ქუჩიშვილისათვის მუდმივი დახმარების დანიშვნის შესახებ.

დღეს თეატრებში.

ოპერა—ლოენგრინი პროფკავშირის წევრთათვის.

დრამა—გაზი პროფკავ წევრთათვის.

სახ. სახლი—მადამ სან ჟენ.

კონსერვატორია—ზავალოვის კონცერტი.

ცირკი—დიდი შაბათობა.

სამკურნალო მცენარეობა.

სამკურნალო მცენარეულობა.

სამკურნალო მცენარეულობის მოვლა—გამოყენების საქმე ადვილი შესასწავლია.

ეს ძლიერ სასარგებლო საქმეა და ამასთანავე მისი წესიერათ წარმოება აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს ყოველ ქვეყნისათვის.

სხვა და სხვა ქვეყნებში სასოფლო სამეურნეო დარგთა შორის სამკურნალო მცენარეთა მოვლა-მოშენებას თვალსაჩინო ადგილი უჭირავს.

იქ სამკურნალო მცენარეთა ფოთლებიდან, ყვავილებიდან და ძირებიდან ხდიან ძვირფას ზეთებს და აკეთებენ წამლებს.

ამ მიზნით სამკურნალო მცენარეულობა ბევრი მოჰყავთ საფრანგეთში, ინგლისში, ამერიკაში და განსაკუთრებით გერმანიაში.

აქ ამ მცენარეთა სათანადოთ გადასამუშავებლათ მოწყობილია ქარხნები, რომელთაც დიდი სამრეწველო მნიშვნელობა აქვთ.

ჩვენი ქვეყნის მდიდარ ბუნებასაც შეუძლია მოგვცეს მრავალგვარი სამკურნალო მცენარეები და ზოგჯერ უკეთესიც ვიდრე სხვა ქვეყნებშია.

ამიტომ ამ დარგს ჩვენმა მეურნეებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ.

განსაკუთრებით ხელსაყრელია სამკურნალო მცენარეთა მოყვანა დღეს, როცა სოფლის ნაწარმოებს დაბალი ფასი აქვს, სამკურნალო მასალა კი ძვირად ფასობს.

ომიანობის დროს რუსეთში ძლიერ შემცირდა სამკურნალო მცენარეულობის მოყვანა და ამ უკანასკნელ დრომდე წამლები ნაკლებათ იყო. მაგრამ უკანასკნელ წლებში სამკურნალო მცენარეთა მოყვანის საქმე აღორძინდა: დაარსდა სხვა და სხვა ამხანაგობები, რომლებიც ხელს უწყობენ სამკურნალო მცენარეთა გამრავლებას და გასაღებას.

ამ გარემოებით ჩვენც უნდა ვისარგებლოთ.

ჩვენი ქვეყნის ბუნებრივი პირობები ხელს უწყობენ მრავალგვარ ძვირფას სამკურნალო მცენარეთა გამრავლებას. ბევრი მათგანი გარეულათაც ბლომათ იზრდება. საჭიროა მხოლოთ მათი შეკროვება და შესაფერისათ გადამუშავება.

თუ რამდენათ მართალია ზემო ნათქვამი ამას შემდეგი მოკლე მიმოხილვა გვიჩვენებს;

თბილისის ახლო მიდამოებში და მთის ფერდოებზე ძლიერ გავრცელებულია და კარგათ ხარობენ: გვირილა, კატაბალახა, აბუსალათინი და სხვა სამკურნალო მცენარეები.

გორის, ქუთაისის, ზუგდიდის, თიანეთის და სხვა მაზრებში გავრცელებულია ლემა, ღუნციაფა და სხვა. ახალციხე- ახალქალაქში ბევრია გვირილა.

გურია-სამეგრელოში პიტნის სხვა და სხვა ჯიშები;

კახეთში აბუსალათინი, რომლისგანაც გასაწმენდ ზეთს ღებულობენ და სხვა.

სამკურნალო მცენარეთა თესლის შეძენა შეიძლება სათესლე მაღაზიებში და თბილისის ბოტანიკურ ბაღის სამკურნალო მცენარეთა განყოფილებაში.

მცენარის ამორჩევის დროს საჭიროა ვიცოდეთ ივარგებს, თუ არა ეს მცენარე აღებულ მხარეში, ამის გაგება შეიძლება მახლობელ საცდელ სადგურზე ან აგრონომთან. თუ ასეთები ახლო-მახლოს არ არის, მაშინ საჭიროა გამოვიკვლიოთ იზრდება თუ არა აღებული მცენარე გარეულათ. თუ მცენარე გარეულათ იზრდება, მაშინ დათესვითაც ივარგებს.

მომავალში ჩვენ შევეცდებით მოკლეთ ავწეროთ ზოგი ყველაზე უფრო საჭირო სამკურნალო მცენარეთა მოვლა-პატრონობა.

შ—ა.

მეცნიერება და ტექნიკა

ყველგან მოსიარულე.

თუ დედამიწის უდიდესი ნაწილი ჯერ ჯერობით კიდევ ვერ შეუსწავლია ადამიანს, ეს უმთავრესად მით აიხსნება, რომ მიმოსვლის საშვალებანი ვერ არის სათანადოთ განვითარებული, რომ ადამიანმა შესძლოს მათი საშვლებით მიუვალ ადგილებში მისვლა და მათი შესაფერი გამოკვლევა. ამას კი მეცნიერებისათვის განუზომელი მნიშვნელობა აქვს. ასეთი დაბრკოლება რამოდენიმედ აცილებული იქნა თავიდან, მას შემდეგ რაც ავიაციამ შეისხა ფრთები მაგრამ ეს მხოლოდ უკანასკნელ ხანებში, როდესაც მფრინავ აპარატების საერთო კონსტრუქციაში შეტანილი იქნა საგრძნობი ტეხნიკური გაუმჯობესება.

მიუხედავათ ამისა ავიაციამ მაინც ვერ სძლია ხსენებული დაბრკოლებანი, რადგან არის ისეთი ადგილები, სადაც შეუძლებელი ხდება თვითმფრენის ძირს დაშვება და ისე კი ყველაფერი ფუჭია. ამ ოკანასკნელ ხანებში ეს სიძნელე თითქმის დაძლეული იქნა ე. წ. ყველგან მოსიარულე ავტომობილის გამოგონებით ასეთ ავტომობილს უწოდებენ ,,კეგრეს ცეტროენს.'' ეს ავტომობილი თავისუფლად მოგზაურობს, როგორც ჭაობებში, თოვლში სილნარში ისე მთაგორიან ადგილებში. ავტომობილს უკანა ბორბლების მაგიერ აქვს მუხლუხისებური ორი რეზინის ლენტები. ლენტები გადაჭიმულია თითეული მხრიდან ორ ბარაბანზე, მათგან ერთი უკანა ბარაბანი ამოძრავებს ავტომობილის ღერძს, ხოლო წინა კი თავისუფალია. რეზინის ლენტები ირგვლივ მოძრაობაში მოდის ბარაბანების საშვალებით, რომლებიც ეკიდებიან მიწის ზედაპირს და ამოძრავებენ ყველგან მოსიარულეს, რომელიც 30 ვერსს გადის საათში. ავტომობილ „ცეტროენის'' მამოძრავებელი ძალა უდრის 10 ცხენის ძალას. ეს ძალა სრულიად საკმარისია, რომ ავტომობილმა იმოძრაოს ზედაპირის ყოველგვარ პირობებში: სილნარში, ჭაობში, თიხნარ ტალახში, თოვლში და ზედაპირის 50 გრადუსის დაქანებაზედაც. ავტომობილ ,,კეგრეს ცეტროენზე'' გამოცდის მიზნით იმოგზაურეს გამოცდის მიზნის აფრიკის უდიდეს უდაბნო სახარაში. ავტომობილს სრულიად არ გასჭირვებია უდაბნოს ფხვიერ სილიან ადგილებში მოგზაურობა და 21 დღის განმავლობაში გაიარა 3,200 ვერსი. იმ დროს როდესაც აქლემების ქარავნით ამ მანძილის გავლას უნდებიან 3 თვე. ხსენებული ავტომობილი გამოსცადეს მოსკოვში რამაც სასურველი შედეგები მოიტანა. რამდენად გამოსაყენებელი იქმება ასეთი ყველგან მოსიარულე მანქანები ჩვენი ქვეყნის პირობებში, რომ მოკლებული ვართ გზას და კვალს და რა დიდ სარგებლობას მოუტანდა ის ჩვენ ხალხს.

შ. ხ.

ჩერვონეცის კურსი 8 მარტს

1 ჩერ. 6,000,000,000.

ჩერვონცის კაპეიკები ამიერ-კავკასიის ბონებში.

1 კ.	6,000,000	55 კ.	330,000,000
2 კ.	12,000,000	60 კ.	360,000,000
3 კ.	18,000,000	65 კ.	390,000,000
4 კ.	24,000,000	70 კ.	420,000,000
5 კ.	30,000,000	75 კ.	450,000,000
6 კ.	36,000,000	80 კ.	480,000,000
7 კ.	42,000,000	85 კ.	510,000,000
8 კ.	48,000,000	90 კ.	540,000,000
9 კ.	54,000,000	1 მ.	600,000,000
10 კ.	60,000,000	2 მ.	1,200,000,000
15 კ.	90,000,000	3 მ.	1,800,000,000
20 კ.	120,000,000	4 მ.	2,400,000,000
25 კ.	150,000,000	5 მ.	3,000,000,000
30 კ.	180,000,000	6 მ.	3,600,000,000
35 კ.	210,000,000	7 მ.	4,200,000,000
40 კ.	240,000,000	8 მ.	4,800,000,000
45 კ.	270,000,000	9 მ.	5,400,000,000
50 კ.	300,000,000	10 მ.	6,000,000,000

ნ.დ.ს.ც. ტირაჟი 1300 სტამბა, კეცხოველის ქუჩა, ელსმენი 8.61. პასუხისმგებელი რედაქტორი ლ. ჩანტლაძე